აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება
სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის
პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 17 | 2 ივლისი 2025 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;(№09-01-08/07, 02.07.2025წ.)

გამარტივებული წესით განხილვა

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

02.07.2025 წელი	წამყვანი კომიტეტი -07.07.2025-მდე	რიგგარეშე სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 6168/02 "02" 07 2025

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საკანონმდებლო ინიციატივის წესით, წარმოგიდგენთ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს.

ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება წარმოდგენილ კანონპროექტზე სესიებს შორის პერიოდში ვადების დინების გაგრძელებისა და მისი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის საშემოდგომო სესიამდე განხილვისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

ზემოაღნიშნულ კანონპროექტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე განსახილველად წარადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ადმინისტრაციის უფროსი - ჯაბა სურმანიძე.

დანართი: „ 5 " ფურცელზე.

პატივისცემით,

სულხან თამაზაშვილი

09-01-08/07
2. 07 2025
6. ფურცელი

6010 ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას 9
ტელ.: (422) 272000
administration@ajara.gov.ge

6010 Batumi, Georgia, 9. Gamsakhurdia Str.
Phone: +995 (422) 272000
administration@ajara.gov.ge

პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge) 25/12/2018, სარეგისტრაციო კოდი 010240010.30.056.016077) შეტანილ იქნეს ცვლილება და კანონის მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. მთავრობის აპარატის უფროსს ჰყავს მოადგილე/მოადგილეები, რომელსაც/რომლებსაც მთავრობის აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე/თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობიდან/თანამდებობებიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე. მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილეთა რაოდენობა განისაზღვრება მთავრობის აპარატის საშტატო ნუსხით.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **სულხან თამაზაშვილი**

ბათუმი,

---------- 2025 წ.

№

განმარტებითი ბარათი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი (შემდგომში- მთავრობის აპარატი) უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციულ, სამართლებრივ, ანალიტიკურ და ინფორმაციულ უზრუნველყოფას, სხვადასხვა მასალების მომზადებას, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლს.

კანონის თანახმად, მთავრობის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო მთავრობის აპარატის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების მოცულობიდან გამომდინარეობს მთავრობის აპარატის უფლებამოსილება და აერთიანებს ერთმანეთისაგან განსხვავებულ სფეროებს. საქმიანობის სფეროს მასშტაბის გათვალისწინებით, მმართველობის ეფექტურად განხორციელების მიზნით, არსებობს სახელმწიფო მოსამსახურის - მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობის შემოღების საჭიროება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფლებამოსილება მოიცავს სხვადასხვა სფეროს და არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი მიმართულებით. მთავრობის აპარატის უფლებამოსილების მოცულობის გათვალისწინებით, მმართველობის ეფექტურად განხორციელების მიზნით, შემოღებულ უნდა იქნეს მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილის (სახელმწიფო მოსამსახურე) თანამდებობა. აღნიშნული შექმნის უფლებამოსილებათა გადანაწილების შესაძლებლობას, რაც დამატებით ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან ეფექტიან კოორდინაციასა და კომუნიკაციას, გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესს და უზრუნველყოფს მთავრობის აპარატის მიზნების მიღწევასა და დასახული ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მე-15 მუხლს დაემატება მე-5 პუნქტი. შესაბამისად, განისაზღვრება, რომ ,,მთავრობის აპარატის უფროსს ჰყავს მოადგილე/მოადგილეები, რომელსაც/რომლებსაც მთავრობის აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე/თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობიდან/ თანამდებობებიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე. მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილეთა რაოდენობა განისაზღვრება მთავრობის აპარატის საშტატო ნუსხით ".

კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობის ხარჯები გათვალისწინებულია ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ გავრცელდება მისი მოქმედება (გარდა მთავრობის აპარატის დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით ახალ თანამდებობაზე შემდგომში დანიშნული პირის შემთხვევისა).

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ2) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი.

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1530

2025 წლის 2 ივლისი ქ. ბათუმი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოსათვის წარდგენის შესახებ**

აჭარის ავტონონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ" და ,,კ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, საკანონმდებლო ინიციატივის წესით, წარედგინოს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

2. ბრძანების 1–ლი პუნქტით გათვალისწინებული კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე განსახილველად წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს და კანონპროექტზე მომხსენებლად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ადმინისტრაციის უფროსი - ჯაბა სურმანიძე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სულხან თამაზაშვილი

02.07.2025
N 1153

1153-09-02-11-3-202507021643

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დასკვნა

,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შესახებ

(N09-01-08/07, 02.07.2025 წ. ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

წარმოდგენილი კანონის პროექტი შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,
ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი